საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 477

06 08 2014წ.

ქ. თბილისი

მწვრთნელის (სახეობის დაკონკრეტებით) პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) შემოვიდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის შუამდგომლობა სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ინიციატივის განხილვის თაობაზე, რომელიც ეხებოდა მწვრთნელის (სახეობის დაკონკრეტებით) პროფესიული სტანდარტის დამტკიცებას.

პროფესიული სტანდარტის პროექტი განთავსდა ცენტრის ვებგვერდზე და დაინტერესებულ პირებს მიეცათ შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენის შესაძლებლობა. პროფესიული სტანდარტის პროექტს მოჰყვა პოზიტიური გამოხმაურება.

სხდომაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების წარმომადგენლები, დამსაქმებლები და დარგის სპეციალისტები, მოწონებულ იქნა მწვრთნელის (სახეობის დაკონკრეტებით) პროფესიული სტანდარტის პროექტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსის 2014 წლის 30 ივლისის №550286 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20[2] მუხლის მე-2 პუნქტის, მე-40 მუხლის მე-16 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს მწვრთნელის (სახეობის დაკონკრეტებით) პროფესიული სტანდარტი დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციას (სამსახური) ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობისა და ცენტრის ვებგვერდზე განთავსების უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ,№6)

დირექტორი ელენე ჯიბლაძე

დანართი

მწვრთნელი (სახეობის დაკონკრეტებით)

112151

პროფესიული სტანდარტი

I.სფეროს აღწერა

მწვრთნელის პროფესიული კვალიფიკაცია მიეკუთვნება მიმართულებათაშორისი დარგებისა ან სპეციალობების მიმართულების სპორტის დარგს. მწვრთნელი არის სპორტის გარკვეული სახეობის სპეციალისტი. მას მიჰყავს სასწავლო-საწვრთნო პროცესი, რომელიც მიმართულია სპორტსმენის დახელოვნების, აღზრდისა და სრულყოფისკენ, მისი ფუნქციონალური შესაძლებლობების განვითარებისკენ.

მწვრთნელის პროფესიული მოღვაწეობის ძირითადი მიზანია სპორტსმენების მომზადება სპორტული შეჯიბრებებისთვის და შეჯიბრების პროცესში მათი მართვა მაღალი სპორტული შედეგების მისაღწევად, სპორტული გუნდებისათვის პერსპექტიული სპორტსმენების შერჩევა.

მწვრთნელის პროფესიული სტანდარტი განსაზღვრავს მწვრთნელის პროფესიულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, მწვრთნელის პროფესიულ ღირებულებებსა და ვალდებულებებს. სტანდარტი მიზნად ისახავს სპორტული წვრთნის ხარისხის გაუმჯობესებას. სტანდარტი ვრცელდება სპორტის ყველა სახეობისა და ყველა ასაკის სპორტსმენებთან მომუშავე მწვრთნელზე. სტანდარტი გამოიყენება აგრეთვე მწვრთნელობის მაძიებლის ცოდნის შეფასებისათვის.

II. დასაქმების სფერო

მწვრთნელის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია იმუშაოს შემდეგ ორგანიზაციებში:

- ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლები;
- სპორტული და ფიტნეს კლუბები;
- სხვადასხვა ასაკის ნაკრები გუნდები (მწვრთნელის თანაშემწედ);
- სპორტის სხვადასხვა სახეობის სპორტული ფედერაციები;
- ადგილობრივი, სამხარეო და საქართველოს სპორტის მმართველი ორგანოები.

III.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ა) ზოგადი საბაზო განათლება; სრული ზოგადი განათლება;

ბ) საერო და სპეციალური ფიზიკური მომზადების ნორმატივების ჩაბარება.

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

მწვრთნელის პროფესიული განათლება ერთსაფეხურიანია - მეოთხე საფეხური. შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს მინიმუმ 120 კრედიტს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 50%.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება მწვრთნელის (შესაბამისი სახეობის დაკონკრეტებით) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და მასზე გაიცემა პროფესიული დიპლომი

მწვრთნელის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს	იცის: • სპორტული წვრთნის ძირითადი პრინციპები და თეორიული კონცეფციები; • სპორტული წვრთნის დაგეგმვისა და ჩატარების პრინციპები, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პრაქტიკულ მუშაობაში; • სპორტის სხვადასხვა სახეობაში ტექნიკური ილეთების შესწავლის, შესრულების, ჩვევების გამომუშავებისა და განმტკიცების მეთოდების დეტალური განსაზღვრა და აღწერა; • სპორტის სხვადასხვა სახეობაში მსაჯობის წესები; • მოზარდების ასაკობრივი და სქესობრივი შესაძლებლობების გათვა-ლისწინებით წვრთვნის პროცესის მართვა და დატვირთვების ინტენსივობის განსაზღვრა; • სპორტსმენის ჯანმრთელობის, ფუნქციური შესაძლებლობებისა და ორგანიზმში მიმდინარე პროცესების მდგომარეობა ფიზიკური დატვირთვების ზემოქმედების შედეგად.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში სანდო ინფორმაციის წყაროების გამოყენება, წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად სტრატეგიის შემუშავება და შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით მიღებული შედეგების შეფასება	**შეუძლია:** • სპორტული წვრთნის პროცესში ტრენაჟორებისა და სხვა დამხმარე საშუალებების ეფექტურად გამოყენება და უსაფრთხოების წესების დაცვა; • წვრთნის პროცესში საერთო და სპეციალური ფიზიკური თვისებების განვითარებისათვის საჭირო ვარჯიშების შერჩევა და

		ვარჯიშთა კომპლექსების შედგენა; • სასწავლო-საწვრთნო მეცადინეობების პროცესში ტანვარჯიშის, მძლეოსნობის, სპორტთამაშებისა და სპორტის სხვა სახეობების საპროგრამო მასალის ფართოდ გამოყენება; • სპორტის შესაბამის სახეობაში შეჯიბრების ორგანიზაციის მეთოდების, ჩატარების სისტემებისა და მსაჯობის წესების განმარტება; • ინდივიდუალური სავარჯიშო პროგრამებისა და ფიზიკური, ტექნიკური, ტაქტიკური და ფსიქოლოგიური მომზადების გეგმების შემუშავება.
დასკვნის უნარი	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი	**შეუძლია:** • არსებული პრობლემების გამოკვეთა და მათი გადაჭრისათვის შესაბამისი ხერხებისა და გზების შერჩევის შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება; • სასწავლო-საწვრთნო გეგმის, მისი ორგანიზების, დატვირთვების აღრიცხვისა და კონტროლის ერთმანეთთან დაკავშირება; • ინფორმაციული მონაცემების ანალიზი, შეფასება და დასკვნის გამოტანა; • სპორტის სფეროში ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე რეფერატის/ მიმოხილვის დაწერა; • გამოყენებული ლიტერატურული წყაროების კრიტიკულად შეფასება, დასკვნების გაკეთება და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება;
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული ინფორმაციის დამუშავება	**შეუძლია:** • პროფესიულ საქმიანობაში ინტერნეტის, სოციალური ქსელების, ელექტრონული ფოსტისა და ტელეფონის (მათ შორის ელემენტარულ უცხოურ ენაზე) გამოყენება; • ამა თუ იმ საჯარო ორგანიზაციისა თუ კერძო სტრუქტურის ვებგვერდიდან ინფორმაციის მოპოვება; • კონტაქტების ბაზის შექმნა და მისი მუდმივად განახლება.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა და განჭვრეტა	აქვს პედაგოგის მიერ მითითებული სახელმძღვანელოებისა და აუცილებელი ლიტერატურის მოძიებისა და სასწავლო

		პროცესში გამოყენების უნარი
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად	შეუძლია საავტორო უფლებებისა და კანონით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნების დაცვით ინფორმაციის გამოყენება; იცის სპორტული ეთიკის დანიშნულება, მნიშვნელობა და პროფესიულ საქმიანობაში მისი დაცვა.